ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7950726

ნომერი: AR11145513

თარიღი : 01.06.2026

გაცემის თარიღი : 05.06.2026

გაცნობის თარიღი : 05.06.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა , N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ ჭელიძე პ/ნ 01009001743
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 64 ბ. 30

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 27 მაისის №7937234 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 1 ივნისს №AR11145513 განცხადებით მომართა ვახტანგ ჭელიძემ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 27

მაისის №7937234 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 ბრძანებით, N01.13.01.004.173 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2025 წლის 27 ივნისის №7533553 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 ბრძანებაში და „ა“ და „ბ“ ბლოკებისთვის განკუთვნილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები დაფიქსირდა დამოუკიდებლად.
სამსახურის 2025 წლის 10 ივლისის № 7549740 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურის 2026 წლის 27 მაისის №7937234 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2026 წლის 27 მაისიდან 2028 წლის 27 მაისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2026 წლის 27 მაისის №7937234 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ, „2026 წლის 27 მაისიდან 2028 წლის 27 მაისის ჩათვლით“ ნაცვლად დაფიქსირდა „2026 წლის 27 მაისიდან 2026 წლის 24 ივნისის ჩათვლით“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2026 წლის 16 მაისის №AR11143216 განცხადებით, მოთხოვნილ იქნა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობის ვადის გაგრძელება. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაცია, მათ შორის მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 24 თვეზე. სამსახურის 2026 წლის 27 მაისის №7937234 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 27 მაისის №7937234 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 27 მაისის №7937234 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. შევიდეს ცვლილება სამსახურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: 3. მშენებლობის ვადა 2026 წლის 27 მაისიდან 2028 წლის 27 მაისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.“
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 27 მაისის №7937234 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2023 წლის 11 დეკემბრის №6799399 და 2026 წლის 27 მაისის №7937234 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.